
რელიგიათაშორისი ფორუმის G20-ის მონაწილეებისადმი პატრიარქ კირილეს მისალმება ვლადიკავკაზისა და ალანიის მთავარეპისკოპოსმა ლეონიდემ გააჟღერა



2021 წლის 12-14 სექტემბერს ბოლონიაში (იტალია) ტარდება წარმომადგენლობითი რელიგიათშორისი ფორუმი G20, რომელიც ეძღვნება თემას „განკურნების დრო: მშვიდობა კულტურებს შორის, ურთიერთგაგება რელიგიებს შორის“. ფორუმზე შეიკრიბა 370-მდე რელიგიური ლიდერი, პოლიტიკოსი, პარლამენტარი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწე.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდესი პატრიარქის კირილეს ლოცვა-კურთხევით, ფორუმში მონაწილეობას იღებს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია, რომლის შემდაგნელობაში არიან სსკგ-ს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიკავკაზისა და ალანიის მთავარეპისკოპოსი ლეონიდე და სსკგ-ს რელიგიათაშორისი ურთიერთობების მდივანი მღვდელი დიმიტრი საფონოვი.

ღონისძიების ოფიციალურ გახსნაზე, რომელიც მე-13 საუკუნეში აგებულ ბოლონიის რატუშაში შედგა, ფორუმის მონაწილეებისთვის მთავარეპისკოპოსმა ლეონიდემ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვრის მიმართვა გააჟღერა. ბოლონიის მთავარეპისკოპოსმა, კარდინალმა მატეო ზუპიმ რომის პაპ ფრანცისკეს მისასალმებელი წერილი წაიკითხა, ასევე წაკითხულ იქნა იტალიის პრეზიდენტის სერხიო მატარელას და კოპტური ეკლესიის პატრიარქ თავადროს II-ის წერილები.

მოცულობითი მოხსენებით გამოვიდა სლოვენიის პრეზიდენტი ბორუტ პაჰორი (სლოვენია ამჟამად არის ევროპის საბჭოს თავმჯდომარე) გამოვიდა. გახსნის ცერემონია შრი-ლანკის პრემიერ მინისტრის მაჰინდა რაჯაპაკსას სიტყვით დასრულდა.

ვიდეო მიმართვით გამოვიდნენ მსოფლიო ებრაული კონგრესის პრეზიდენტი რონალდ ლაუდერი და გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარი მიშელ ბაჩელეტი. გაჟღერდა რელიგიის მეცნიერებათა ფონდის ხელმძღვანელის (FSCIRE) პროფესორ ალესანდრო პაინოს გამოსვლა. ფონდი მდებარეობს ბოლონიაში და წელს გახდა ფორუმის მთავარი ორგანიზატორი.

რელიგიათაშორისი ფორუმი წინ უსწრებს ჯგუფი ოცეულის (G20) მეთექვსმეტე შეხვედრას, რომელიც დაგეგმილია 2021 წლის 30-31 ოქტომბერს რომში, იტალიის დედაქალაქში.

სსკგ-ს კომუნიკაციების სამსახური

წყარო: https://mospat.ru/ge/news/88009/